

ბუღალტერია და საგადასახადო კოდექსი პრაქტიკაში

ლექტორები

თაკო ჩარკვიანი
დავით გორდიაშვილი
ნინო გათენაძე

კურსის დრო

24 შეხვედრა (48 საათი)

სასწავლო კურსის მიზნები

აღნიშნული საბაზისო საბუღალტრო კურსის მთავარი მიზანია მონაწილეებს მისცეს ფუნდამენტური ცოდნა და ძირითადი უნარები, რათა ეზიარონ აღრიცხვის ძირითად პრინციპებს. ეს კურსი დაეხმარება დამწყებებს საბუღალტრო ცნებების გაგებაში, როგორცაა ფინანსური ანგარიშები, აღრიცხვა და ფინანსური ანალიზი, რაც ძალიან ხარისხიან საფუძველს შეუქმნის შემდგომში ამ სფეროში გაცილებით დიდი მიზნების მიღწევაში. დამწყებთათვის შექმნილი კურსი მიზნად ისახავს აღრიცხვის საფუძვლების მარტივად ახსნასა და მონაწილეების შთაგონებას, გახდნენ ფინანსებისა და ბუღალტერიის სამყაროში გამოცდილი პროფესიონალები.

სასწავლო კურსის შინაარსი

ლექცია 1: ბუღალტრული აღრიცხვის შესავალი

- ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების ისტორია
- სამეურნეო აღრიცხვა, მისი არსი და მნიშვნელობა
- აღრიცხვაში გამოყენებული საბომები
- სამეურნეო აღრიცხვის არსი, მიზანი და ამოცანები
- ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა
- სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები
- ბუღალტრის ფუნქციები

ლექცია 2: ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, ბუღალტრული აღრიცხვის საგანი და მეთოდი, ბუღალტრული ბალანსი, ბუღალტრული ანგარიშები და ორადი ასახვა

- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და მარეგულირებელი ორგანოები
- ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირება საქართველოში
- ბუღალტრული აღრიცხვის საგანი, მისი ობიექტები
- სამეურნეო პროცესები

- ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი და მისი ელემენტები
- ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები და ძირითადი დაშვებები

ლექცია 3: ფინანსური ანგარიშგება, ბალანსირების პრინციპები, მისი გამოყენება ბუღალტრულ აღრიცხვაში

- ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები
- ფინანსური ანგარიშგება, მისი არსი და მიზანი
- ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები
- ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და ელემენტები
- ბალანსირების პრინციპები, ბუღალტრული ბალანსი
- ბუღალტრული აღრიცხვის მარტივი სისტემა

ლექცია 4: ბუღალტრული აღრიცხვა

- ბუღალტრული ანგარიშები, მათი დანიშნულება
- სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაცია
- საცდელი ბალანსი, მისი დანიშნულება
- ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების კლასიფიკაცია
- ანგარიშების კლასიფიკაცია მათი სტრუქტურისა და დანიშნულების მიხედვით
- დამხმარე რეგისტრები
- ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და მისი აგების პრინციპი

ლექცია 5: პირველადი დოკუმენტები, დოკუმენტბრუნვა, პარალელური კონტროლი, ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემთა განზოგადება

- ბუღალტრული დოკუმენტები, მათი როლი ბუღალტრულ აღრიცხვაში
- დოკუმენტების კლასიფიკაცია
- დოკუმენტბრუნვა. დოკუმენტების შედგენისა და შენახვის წესი
- ინვენტარიზაცია, მისი არსი, სახეები და ჩატარების წესი
- სააღრიცხვო ციკლი და მისი ეტაპები
- ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემთა განზოგადების ტრადიციული ხერხი
- საცდელი ბალანსი, მისი დანიშნულება და შედგენის წესი

ლექცია 6: ფინანსური ანგარიშგების მომზადება

- სააღრიცხვო ინფორმაციის განზოგადება

- ფინანსური ანგარიშგების მომზადება
- სააღრიცხვო ციკლის დამამთავრებელი ოპერაციები

ლექცია 7: ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებელი ბოლო პროცედურები

- ქეშფლოუ
- დარიცხული ნაწილის ასახვის მნიშვნელობა
 - მიღებული ავანსები
 - გაცემული ავანსები
 - გაწეული, მაგრამ აღურიცხავი ხარჯები
 - ალტერნატიული კორექტირებადი გატარებები
- ალტერნატიული კორექტირებადი გატარებები
 - მიღებული ავანსები
 - სამუშაო ფურცელი, მისი დანიშნულება და მომზადება
 - ფინანსური ანგარიშგების მომზადება სამუშაო ფურცლის საფუძველზე
 - ნომინალური ანგარიშგების დახურვები
 - საბოლოო საცდელი ბალანსი

ლექცია 8: ბუღალტრული გატარებები, საცდელი ბალანსის ფორმირება, ფინანსური ანგარიშგების აწყობა

- მაგალითის სახით ორმაგი გატარებების წარმოება
- საცდელი ბალანსის ფორმირება
- ფინანსური ანგარიშგების აწყობა

ლექცია 9: შესავალი საგადასახადო კანონმდებლობაში

- რა კანონები ეხება ბუღალტრულ სფეროს
- რომელი კანონებია უპირატესი
- რომელი გადასახადები არსებობს საქართველოში და რას ემსახურება ეს გადასახადები
- ყველაზე გამოყენებადი ტერმინების განმარტებები
- რესურსები სად შეიძლება კანონმდებლობაზე მოიპოვონ ინფორმაცია და როგორ
- როგორი აგებულებაა აქვს კოდექსს
- რა როლს თამაშობს ბრძანება 996

ლექცია 10: დღგ-ს გადასახადი

- რისი გადასახადია დღგ
- ვინ არიან გადამხდელები

- როგორ/საიდან იანგარიშება დღგ-ს გადასახადი
- როდის არის დაბეგვრის დრო
- როდის ითვლება საქართველოში გაწეულად მომსახურება
- რა არის უკუდაბეგვრა
- რას ნიშნავს ჩათვლის უფლებით და გარეშე ოპერაციები
- როდის ვიხდით იმპორტის დღგ-ს და ვითვლით
- ზოგადად ვინ არიან გათავისუფლებულები და რა არ ითვლება დღგ-თი დასაბეგრ ოპერაციად (მათ შორის საზღვარგარეთ გაწეული ოპერაციები)

ლექცია 11: მოგების გადასახადი

- რა არის მოგების გადასახადი
- რა არის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტები
- როგორ იანგარიშება მოგების გადასახადი
- ვინ არიან გათავისუფლებული მოგების გადასახადით
- რა განსხვავებაა ესტონურ მოდელსა და ერთობლივი შემოსავლის მიხედვით მოგების გამოთვლა/დეკლარირებას შორის

ლექცია 12: საშემოსავლო გადასახადი

- რა არის და ვინ იხდის საშემოსავლო გადასახადს
- როგორ გამოითვლება საშემოსავლო გადასახადი
- როდის გამოითვლება და გადაიხდება საშემოსავლო გადასახადი
- რა ოპერაციები იბეგრება საშემოსავლო გადასახადით
- ვინ არიან გათავისუფლებულები საშემოსავლო გადასახადისგან
- რა ითვლება ხელფასად და რა არა

ლექცია 13: აქციზი, ქონების და იმპორტის გადასახადი

- რა გადასახადებია
- ვინ იხდის
- რის მიხედვით იხდის
- ვინ არიან გათავისუფლებულები

ლექცია 14: საგადასახადო საკითხების დამუშავება

- რა რესურსები არსებობს

- როგორ მოვძებნოთ კანონები
- ნორმატიული აქტები
- სიტუაციური სახელმძღვანელოები
- გადაწყვეტილებები
- რეკომენდაციები
- რომელ ნორმებს რა ძალა აქვს პრიორიტეტების მიხედვით
- რა არის წინასწარი გადაწყვეტილება და როდის შეიძლება გამოიცეს (ასევე ფასი რა აქვს)

ლექცია 15: ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და მათი გასაჩივრება

- რისთვის რა ჯარიმები არსებობს
- თუ დაგვაჯარიმეს როგორ შეიძლება მოვიქცეთ

ლექცია 16: საგადასახადო ქეისების პრაქტიკული მიმოხილვა

- დღ-ზე ქეისი
- მოგებაზე ქეისი
- საშემოსავლობზე ქეისი

ლექცია 17: ანგარიშთა გეგმის გაცნობა და ბრუნვითი უწყისის მიმოხილვა (FINA-ს მაგალითზე), პირველადი დოკუმენტაცია

- ანგარიშთა გეგმის გაცნობა და ბრუნვითი უწყისის მიმოხილვა (Fina-ს მაგალითზე), პირველადი დოკუმენტაცია
- ანგარიშთა გეგმის მიმოხილვა
- ანგარიშთა გეგმის სახეები
- ანგარიშების ტიპები
- fina - ს ზოგადი მიმოხილვა
- პირველადი დოკუმენტაციის განმარტება
- რისთვის ვიყენებთ პირველად დოკუმენტებს
- ყველაზე ხშირად გამოყენებადი პირველადი დოკუმენტების გაცნობა: ზედნადები, ანგარიშფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი, შესყიდვის აქტი

ლექცია 18: პრაქტიკული ქეისი: კომპანიის დაფუძნება, კაპიტალის შეტანა, ძირითადი საშუალებებისა და მარაგების შესყიდვები

ლექცია 19: პრაქტიკული ქეისი: რეალიზაციის ოპერაციები დღგ-ის გარეშე, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია, რეალიზაციის ოპერაციები დღგ-ს ჩათვლით

ლექცია 20: პრაქტიკული ქეისი: სალაროსა და ბანკის ოპერაციები, ხელფასების დარიცხვა, უსაბუთო ხარჯები

ლექცია 21: პრაქტიკული ქეისი: საცდელი ბალანსის ფორმირება, ბუღალტრული ბაზის დახურვის ოპერაციები

- შემოსავლებისა და ხარჯების გადახურვა მოგება-ზარალის ანგარიშზე
- საბიუჯეტო ანგარიშების გადახურვა
- საოფისე ხარჯების ჩამოწერა
- ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა

ლექცია 22: პრაქტიკული ქეისი: ფინანსური ანგარიშგებების შედგენა: ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი ნაკადები

- ანალიზური კოდების მინიჭება და ფულადი ნაკადების უწყისის შედგენა
- მოგება-ზარალის ანგარიშგების შედგენა
- ბალანსის აწყობა

ლექცია 23: RS.GE პორტალზე მუშაობა (ზედნადებები, ფაქტურები, დეკლარაციები)

- ზოგადი ინფორმაციის ნაწილი - რომელ პუნქტს რაში ვიყენებთ
- აღრიცხვა-ანგარიშგების მოდული
- ზედნადებები, ანგარიშფაქტურები, სპეც ანგარიშფაქტურები - პრაქტიკული მაგალითების ჩვენება
- დაქირავებულ პირთა რეესტრი
- შეტყობინებები

ლექცია 24: გადასახადების დეკლარირება

- საშემოსავლო დეკლარაციის აწყობა
- დღგ-ის დეკლარაციის აწყობა
- მოგების დეკლარაციის აწყობა

- გადასახადები ვალდებულების წარმოქმნა და გადახდა

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები

კურსის მსმენელებს ეცოდინებათ და შეძლებენ:

- ძირითადი საბუღალტრო ტერმინოლოგიისა და პრინციპების ცოდნა, რაც მათ საშუალებას მისცემს კომფორტულად იგრძნონ თავი ბუღალტერიის სფეროში;
- ფინანსური ანგარიშგების ძირითად ელემენტებზე წარმოდგენა და შემადგენელი ანგარიშების ანალიზი, როგორცაა ბალანსი და მოგების/ზარალის ანგარიში;
- დღიური ჩანაწერების წარმოება და საბაზისო აღრიცხვის პროცედურების განხორციელება რაც თეორიულ ცოდნას გაამყარებს პრაქტიკაში;
- საბუღალტრო სისტემაში მონაცემების გატარება, ჩაწერა და საბალანსო ანგარიშების შედგენას;
- მცირე ფინანსური ანალიზების ჩატარება, რაც დაეხმარებათ მარტივი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებაში;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის ძირითადი პრინციპების ცოდნა და მათი გამოყენება საბუღალტრო ანგარიშგებაში, რაც მონაწილეებს საშუალებას მისცემს უკეთ გაიგონ საგადასახადო მოთხოვნები და შეუსაბამონ ისინი ფინანსურ ანგარიშებს.

ლექტორის შესახებ

თიკო ჩარკვიანი

- პარტნიორებზე ზრუნვის ლიდი - აუდიტორული და ბუღალტრული სერვისების კომპანია “ფინო”;
- 5+ წელზე მეტი გამოცდილება 10-მდე სექტორსა და 55-ზე მეტ კომპანიაში ბუღალტრული და აუდიტორული სერვისების მიმართულებით;
- მონაწილეობს მსხვილ, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებში ბუღალტრული და აუდიტორული ოპერაციების დაგეგმვასა და პროცესების მართვაში;
- მისი სამუშაო გამოცდილება მოიცავს ბუღალტრული სერვისების მიმართულებით სტაჟიორების, უმცროსი ბუღალტრების და მთავარი ბუღალტრების მართვას მენტორის პოზიციაზე;
- ჩატარებული აქვს 8-ზე მეტი პროფესიული ტრენინგი;
- ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- მიღებული აქვს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მეორე დონის სერტიფიკატი.

დავით გორდიაშვილი

- საგადასახადო აუდიტის მენეჯერი - აუდიტორული და ბუღალტრული სერვისების კომპანია "ფინო";
- 8 წლიანი გამოცდილება საგადასახადო აუდიტის, ბუღალტრული აღრიცხვისა და პროექტების მენეჯმენტის მიმართულებით;
- ტრენერი საგადასახადო კოდექსის მიმართულებით - "ფინო";
- ბაკალავრის (BA) და მაგისტრის (MA) ხარისხი აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ACCA - პირველი და მეორე დონის (9 წიგნი) სერტიფიკატის მფლობელი.

ნინო გათენაძე

- პორტფელის მენეჯერი - აუდიტორული და ბუღალტრული სერვისების კომპანია "ფინო";
- აუდიტორულ კომპანიაში მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება, მათ შორის 4 წელი მთავარი ბუღალტრის პოზიციაზე და 2 წელი ბუღალტრული პროექტების მენეჯერის პოზიციაზე;
- ეკონომიკურ მეცნიერებათა ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი - აგრარული უნივერსიტეტი;
- პროფესიული ტრენინგები: საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის მიმართულებით, მათ შორის, დღგ-ის, საშემოსავლო, მოგების გადასახადის, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და სხვა საკითხებზე;
- ACCA - პირველი დონის (4 წიგნი) სერტიფიკატის მფლობელი.